

ფინანსური ანგარიშგება

შპს Gika+

2019 წლის 31 დეკემბერი

1. ფინანსური მდგომარეობა			
აქტივები			
	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	2624	23964
სავაჭრო მოთხოვნები	4	46351	16462
გადახდილი ავანსები	4	13346	13059
მარაგები	5	14858	278937
სხვა მიმდინარე აქტივები	8	7198	6436
სხვა არამატერიალური აქტივები	7	582	1166
ძირითადი საშუალებები	6	62668	62552
სულ აქტივები		147627	402576
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	22891	180206
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8	3000	14971
სხვა ვალდებულებები	8	2012	7866
სულ ვალდებულებები		27903	203043
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	9	119724	199533
გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა რეზერვები		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		119724	199533
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		147627	402576

2.საქმიანობის შედეგები			
	შენიშვნა	2019	2018
ნეტო ამონაგები	9	820565	2742039
საქონლის გაყიდვიდან		680250	2665960
მომსახურების გაწევიდან		140315	76079
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-626528	-2279526
საწყისი მარაგები		-278946	-290777
მარაგების შესყიდვა		-362440	-2267695
საბოლოო მარაგები		14858	278937
საერთო მოგება		194037	462513
სხვა შემოსავალი	10	2917	6029
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	-71126	-247288
ცვთა და ამორტიზაცია	11	-18387	-18530
საპროცენტო შემოსავალი:	10	153	229
იჯარის ხარჯი	11	-123132	-100200
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	-64271	-73340
სულ საოპერაციო ხარჯები		-273846	-433100
საოპერაციო მოგება		-79809	29413
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		0	0
მარაგები		0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-79809	29413
მოგების გადასახადი	12	0	-9025
მოგება/(ზარალი)		-79809	20388
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		-79809	20388
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		199533	179145
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		119724	199533

3. ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-21340	23964
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-21340	23964
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	23964	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2624	23964

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს Gika+ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შ.ნუცუბიძის ქ., N 14ბ, ბ. 120 და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, ს.ჩიქოვანის ქN19/21 და ვაჟა-ფშაველას ქN79 . კომპანიის ძირითადი საქმიანობა 27.03.2013-26.04. 2019წ საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით, 27.04.19-31.12.19წ საბითუმო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიაში უპირატესად საკვები საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით და საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედ გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფული და ფულის ექვივალენტები კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად საბითუმო ვაჭრობა, ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებით. დამატებითი იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. მიწოდება-რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მიდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული

ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო -მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობს შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სახვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 3-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 2-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი

არამატერიალური აქტივები

კომანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებიტ აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშობა, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფული საღაროში	-	9,225
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,624	4,047
ანგარიშვალდებული პირი	-	10,692
სულ	2,624	23,964

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	46,351	16,462
გადახდილი ავანსები	13,346	13,059
სულ	59,697	29,521

შენიშვნა 5

მარაგები

	2019	2018
საქონელი	10906	276079
ნედლეული და მასალები	3953	2857
სულ	14858	278937

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 626528 ლარი.

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავთო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2018	69,659	36,507	36,620	10,146	142,786
შემოსვლა	2,517	6,135	9,517		18,169
გასვლა		(1,237)			(1,237)
31 დეკემბერი 2019	72,176	41,405	46,137	10,146	159,717
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2018	(31,839)	(24,400)	(23,994)	(10,146)	(80,233)
პერიოდის ცვეთა	(7,752)	(4,815)	(5,235)	-	(17,803)
გასვლა		987			987
31 დეკემბერი 2019	(39,591)	(28,229)	(29,230)	(10,146)	(97,049)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2018	37,820	12,107	12,625	-	62,552
31 დეკემბერი 2019	32,585	13,176	16,907	-	62,668

შენიშვნა 7

არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2018	4,364	4,364
შემოსვლა		-
გასვლა		-
31 დეკემბერი 2019	4,364	4,364
ცვეთა და გაუფასურება		-
31 დეკემბერი 2018	(3,198)	(3,198)
პერიოდის ცვეთა	(584)	(584)
გასვლა		-
31 დეკემბერი 2019	(3,782)	(3,782)
წმინდა საბალანსო ღირებულება		-
31 დეკემბერი 2018	1,166	1,166
31 დეკემბერი 2019	582	582

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები საქონლის შეძენები	16,293	174,557
სხვა ვალდებულებები მომსახურებიდან	8,510	5,649
მიღებული ავანსები	100	7,866
გადასახადელი ხელფასები	3,000	14,971
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე		-
საგადასახადო ვალდებულება	(6,572)	(6,436)
სულ	21,331	196,607

შენიშვნა 9

ამონაგები

	2019	2018
საქონლის გაყიდვა	680,250	2,665,960
მარკეტინგული მომსახურების გაწევა	140,315	76,079
სულ	820,565	2,742,039

შენიშვნა 10

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2019	2018
შემნახველზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	153	229
ჩუქებით მიღებული შემოსავალი	2,917	6,029
	-	-
სულ	3,070	6,258

შენიშვნა 11

სხვა ხარჯები

	2019	2018
საპენსიო დანარიცხები	1306	-
ძირითად საშუალებებზე გაწეული სარემონტო მომსახურება	-	924
შრომის ანაზღაურება	71126	247,288
საიჯარო ქირა	123132	100,200
ცვეთა ძირითად საშუალებებზე	18,387	18,530
კომუნიკაციის ხარჯები	500	1,525
კომუნალური ხარჯები	50425	41,156
დაზღვევა		960
კომპიუტერის ხარჯები	695	964
საკონსულტაციო ხარჯები	1684	1,603
სხვა საგადასახადო ხარჯი	626	715
საბანკო მომსახურება	3517	12,698
საკანცელარიო ხარჯები	108	425
დაცვის ხარჯები	1729	1,729
საოფისე ხარჯები	100	300
დღგს გადასახადის ხარჯი(ინვენტარიზაციის შედეგად დანაკლისის აღიარება)	-	8,006
სხვა არსაოპერაციო ხარჯები	4208	2,335
სულ	277,542	439,358

შენიშვნა 12

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2019	2018
მოგების გადასახადის ხარჯი(ინვენტარიზაციის შედეგად დანაკლისის აღიარება)	-	9,025
	-	-
სულ	-	9,025

შენიშვნა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია
საწარმოს დირექტორის გიორგი კობახიძის მიერ

